

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ჯმტ ქარხანა

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა

2022 წლის 31 დეკემბერს


სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
საადრიცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5
ზოგადი ინფორმაცია	5
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	6
საადრიცხო პოლიტიკა	6
2.1. ამონაგების აღიარება.....	6
2.2. ფინანსური ინსტრუმენტები გაცემული სესხები	6
2.3.ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები	8
2.4.ძირითადი საშუალებები	8
2.5. არამატერიალური აქტივები	8
2.6 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები	9
2.7. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში	9
3.ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები	9
4. შემოსავალი რეალიზაციიდან	10
5. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	10
6. დასაქმებულ პირთა გასამრჯელო.....	10
7.ძირითადი საშუალება.....	11
8. სხვა მიმდინარე აქტივები	12
9. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი.....	12
10. საწესდებო კაპიტალი.....	13
11. სხვა ვალდებულებები.....	13
12. მსს ფასს -ზე გადასვლა.....	14
13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	565,954	458,823	502,259
სხვა გრძელვადიანი აქტივები	11	-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		565,954	458,823	502,259
მიმდინარე აქტივები				
სხვა მიმდინარე აქტივები	12	1,601,615	669,788	330,341
გადახდილი ავანსები	13	-	-	74,471
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	101,895	74,876	28,827
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	15	12,099	47,228	127
სულ მიმდინარე აქტივები		1,715,608	791,892	433,766
სულ აქტივები:		2,281,562	1,250,715	936,025
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	16	124,249	124,249	124,249
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი	17	1,282,218	802,843	302,781
სულ საკუთარი კაპიტალი		1,406,466	927,092	427,030
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სასესხო ვალდებულება	18	446,920	-	118,496
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		446,920	-	118,496
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	19	256,720	212,083	197,378
საგადასახადო ვალდებულებები	20	51,291	54,615	80,771
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	21	120,165	56,925	4,634
სხვა ვალდებულებები	22	-	-	107,716
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		428,176	323,623	390,499
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,281,562	1,250,715	936,025

ფინ დირექტორი:



სრული შემოსავლების ანგარიშგება

		2022	2021
განგრძობითი ოპერაციები			
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	6,725,274	3,282,775
რეალიზებული პროდუქციის ღირებულება	6	(2,913,509)	(1,340,120)
წმინდა შემოსავალი რეალიზაციიდან:		3,811,765	1,942,655
სხვა შემოსავლები	7		
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები	8	(1,628,925)	(784,960)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	9	(61,549)	(72,267)
საპროცენტო შემოსავალი	10	-	-
საპროცენტო ხარჯი	10*	(14,701)	(11,492)
იჯარის ხარჯი	11	(673,643)	(327,211)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	12	(982,768)	(283,048)
საოპერაციო მოგება		450,180	463,676
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	13	29,195	36,387
მოგება დაბეგვრამდე		479,374	500,062
საგადასახადო ხარჯი		-	-
საანგარიშო წლის წმინდა მოგება და სრული შემოსავალი		479,374	500,062
		479,374	500,062

ფინ. დირექტორი:



საადრიცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯმტ ქარხანა შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიერ. საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქ.თბილისი, პეტრიაშვილის ქ #1. საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ.თბილისი, პეტრიაშვილი ქ #1.

საწარმო წილის მმართველები 2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით იყვნენ:

- ტარას კვარაცხელია-17.33%;
- მამუკა მამარდაშვილი-16.33%
- გიორი დარცმელია-16.34%
- შპს თეიბლ თოქი-50%

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა: პეტრიაშვილის ქუჩაზე, ე.წ. ქარხნის ტეროტიროაზე წარმოდგენილია რამდენიმე სახელობითი კვებითი ობიექტის სახელით, **კერძოდ: ვერიკო, მიტო და ქიქოძე**. რომლებიც ერთმანეთისგან კონცეფციურად განხვავდებიან. კომპანიის ეკონომიკური შემოსავლის ძირითადად წყაროს წარმოადგენს ადგილზე მოსული სტუმრების გამასპინძლება კვებითი და სასმელის მენიუთი. კერძების არის ქართულ-ევროპული რეცეპტით დამზადებული და შეფუთვარეულის მეორე სპეციალურად რესტორნის მენიუზე მორგებული გემოებით შეზავებული.

საწარმო ფულადი სახსრებს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკურ გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2022 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2019 წლის პირველი იანვარი.

სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საწარმოს შემოსავლის წყაროს წარმოადგენს კვებითი ობიექტზე არსებული პროდუქტების რეალიზაცია. შემოსავლებში მცირე წილი უჭირავს მარკეტინგული აქტივობებისთვის მიღებულ რეალიზებული საქონლის საკომისიოს (ძირითადად სადისტრიბუციო ქსელის მეორ), ასევე სარეკლამო მასალების განთავსებიდან მიღებული შემოსავალი.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსავლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება ყოველთვიურად, ფაქტიურად რეალიზებული პროდუქციის შესაბამისად. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

2.2. ფინანსური ინსტრუმენტები გაცემული სესხები

გაცემულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი

ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

გაცემულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოთხოვნა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით გაუფასურების გამოკლებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარესათვის უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიცემიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სასესხო ვალდებულებები

მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარისაგან უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიღებიდან წარმოქმნილი ვალდებულება აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/(მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

2.3.ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

2.4.ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით.

2.5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

2.6 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

2.7. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახდილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ყველაზე მნიშვნელოვანი არეები, რომლებიც მენეჯმენტისგან მოითხოვს შეფასებებსა და დაშვებებს დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთებთან, საგარანტიო ანარცხებთან და აქტივების გაუფასურებასთან.

4. შემოსავალი რეალიზაციიდან

	შემოსავალი რეალიზაციიდან		2022	2021
1	შემოსავალი ღონისძიებებიდან	5	6,725,274	3,282,775
	ჯამი		6,725,274	3,282,775

5. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

	ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები		2022	2021
1	ტრანსპორტირება და დაკავშირებული ხარჯი	12	177	219
2	საკანცელარიო საქონელი	12	1,028	1,251
3	კომუნიკაციის ხარჯი	12	7,627	6,291
4	დაზღვევა	12	-	-
5	სამეურნეო საქონელი	12	14,789	2,724
6	კომპიუტერის ხარჯი	12	37	125
7	საწვავის ხარჯი	12	10,797	10,894
8	სამიწვანე ხარჯი	12	-	-
9	საბანკო მომსახურება(ტერმინალის საკომისიო)	12	98,273	56,550
10	სხვა ადმ ხარჯი	12	850,040	204,993
	ჯამი		982,769	283,048

6. დასაქმებულ პირთა გასამრჯელო

	დასაქმებულ პირთა გასამრჯელო		2022	2021
1	პირდაპირი სახელფასო ხარჯი	8	1,303,140	549,472
2	ადმინისტრაციული სტაფის ხელფასი	8	325,785	235,488
	ჯამი		1,628,925	784,960

7.ძირითადი საშუალება

	ოფისის აღჭურვილობა	ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება	სხვა ძირ საშუალება	სულ
თვითღირებულება					
1 იანვარი 2022 წ.	38,429	431,913	7,408	308,869	786,619
შემოსვლა	20,797	82,293	-	65,590	168,680
გასვლა					
31 დეკემბერი 2022 წ.	59,227	514,206	7,408	374,459	955,299
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
1 იანვარი 2022 წ.	18,018	164,973	3,615	141,190	327,797
წლიური ცვეთა	4,184	35,098	607	21,660	61,549
გაუფასურება					-
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი 2022წ.	22,202	200,071	4,222	162,850	389,346
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2022 წ.	37,024	314,135	3,186	211,609	565,954

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალ-დებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ მანქანა-დანადგარის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

8. სხვა მიმდინარე აქტივები

	სხვა მიმდინარე აქტივები		2021	2020
1	სასაქონლო მარაგი	12	303,390	475,981
2	სამეურნეო მარაგი	12	316,244	193,806
3	მეკავშირე საწარმოებზე გაცემული სესხი	12	981,980	
	ჯამი		1,601,615	669,788

9. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი

			2022	2021
1	ფულადი სახსრები სალაროში	15	1,681	626
2	ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე	15	10,417	46,603
	ჯამი		12,099	47,228

10. საწესდებო კაპიტალი

დაფუძნებისას კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 124'249 ლარს. ხოლო აკუმულირებული მოგება შეადგენს 302'830 ლარს.

	საწესდებო	გაუნაწილებელი	სულ კაპიტალი
	კაპიტალი	მოგება	
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	141,393	285,636	427,029
კაპიტალის შემოტანა	0	0	0
კაპიტალის გატანა	0		0
დივიდენდის განაწილება			0
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	0	500,062	500,062
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	141,393	785,699	927,092
კაპიტალის შემოტანა	-	-	0
კაპიტალის გატანა	-		0
დივიდენდის განაწილება			0
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	479,374	479,374
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	141,393	1,265,073	1,406,466

11. სხვა ვალდებულებები

		2022	2021
პარტნიორებისგან მიღებული სესხი	22	-	-
მიღებული ავანსი	22		-
ჯამი		-	-

12. მსს ფასს -ზე გადასვლა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღიდან. საწარმოს წინა პერიოდებში საერთოდ არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად არ წარმოქმნილა კორექტირებების აუცილებლობა.

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 29 სექტემბერს.